Georgian National
Film Center
საქართველოს კინომატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი №3



2011

კინოწარმოება

მიმდინარე პროექტები

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაიღიმეთ" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ნიკე სტუდიო", რეჟისორი – რუსუდან ჭყონია), ფილმის პრემიერა დაგეგმილია დეკემბერში.
- მიმდინარეობს მონტაჟი დოკუმენტურ ფილმზე „ფალავანი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „პალესტრა", რეჟისორი - თემურ ცავა), ფილმი დასრულდება მიმდინარე წლის 30 დეკემბერამდე.
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ცრუპენტელა აღმზრდელი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „იქს-ეფი", რეჟისორი – დავით სიხარულიძე).
- მიმდინარეობს მონტაჟი ანიმაციურ ფილმზე „უკანასკნელი წერილი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი", რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- წარმოების პერიოდშია შპს „სანგუკოს" პროექტ „ხუთის" სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „თამაში", რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და „ველური დღეების ქრონიკები", რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე.
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კავკასიური ქრონიკა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბასტრა ფილმს", რეჟისორი – გიორგი ბარაბაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინემა 24", რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი", რეჟისორი - ზაზა რუსაძე).

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შავი თუთა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯემინი", რეჟისორი – გაბრიელ რაზმაძე).

- გადაღების პერიოდშია ქართულ-ესპანური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩაიკა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინეტექი", რეჟისორი – მიგელ ანხელ ხიმენესი).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "სიცოცხლის ფასი" (პროდიუსერი – ფიზიკური პირი ლელა ჭინჭარაული, რეჟისორი – ლევან კიტია).

  დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორი კვირით ადრე" (პროდიუსერი – ფიზიკური პირი პაპუნა მოსიძე, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე).

- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი" (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია", რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ნათურა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სტუდია რეალითი", რეჟისორი – დავით კოპალეიშვილი).

- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხი და მოყმე" (პროდიუსერი – ფიზიკური პირი - ზურა ქვაჩახია, რეჟისორი – მარიამ კანდელაკი).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯი-ეფ-ემ სტუდიო", რეჟისორი – მალხაზ კუხიანიძე).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ორი პეპელა" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „არტ-პარალელი", რეჟისორი – ილია დოიაშვილი).

„ჩემი საბნის ნაკეცი" – ზაზა რუსაძე

„გაიღიმეთ" – რუსუდან ჭყონია

„თამაში" – ნიკა მაჩაიძე

„ნათურა" – დავით კოპალეიშვილი

BIAFF

ფესტივალები
BIAFF 2011

საავტორო კინოს ბათუმის მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალი

ზღვისპირა ქალაქში საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი წელს მეექვსედ ჩატარდა. მე-6 კინოფესტივალზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფესტივალის ინდუსტრიული მხარე. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ცნობილი უცხოელი ექსპერტები. ჩატარდა საინტერესო დისკუსიები ქართველ და ევროპელ კინემატოგრაფისტებს შორის.

ინდუსტრიული შეხვედრების ფარგლებში გაიმართა რამდენიმე პრეზენტაცია: EAVE - ქრისტინა ტრაპი; ევროპული კინოაკადემია - მარიონ დორინგი; კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი - თამარ ტატიშვილი, სალომე სეფაშვილი და სხვა. ასევე გაიმართა დისკუსია რეგიონალური ფონდების აუცილებლობაზე და მის მნიშვნელობაზე ქვეყნისთვის. რეგიონულ ფონდებზე პრეზენტაცია გამართა ევროპაში წამყვანი საკონსულტაციო კომპანიის დირექტორმა - ჯონათან ოლსბერგმა OLSBERG SPI, დისკუსიაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

ფესტივალის ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული ფილმები სამ ნომინაციაში: საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

ჟიურიმ ასევე შეაფასა საუკეთესო რეჟისორები და მსახიობები.

სპეციალური პრიზები კინემატოგრაფში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფესტივალის საპატიო სტუმრებს, რეჟისორებს დარიუშ მეჰრჯუის და ალექსანდრე რეხვიაშვილს გადაეცათ.

გამარჯვებული ფილმები:

მხატვრულ ფილმებში მთავარი პრიზი წელს ორ ფილმს წილად, ესენია: მარტინ სულიკის "ბოშა" (ჩეხეთი-სლოვაკეთი) და ვაჰიდ მუსაიანის " გოლჩერეჰი" (ირანი). ამ ნომინაციაში 9 ფილმი იბრძოდა.

ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა პასკალ რაბეტეს ფილმისთვის "არდადეგები ზღვაზე".

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი ფილმ "ლურჯი კოდის" მსახიობს ბიენ დე მურს გადაეცა.

პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ანტონ შაგრინს ერგო ალექსანდრე მინდაძის ფილმში "შაბათს" განსახიერებული როლისთვის.

საუკეთესო რეჟისურა - ბირჯიტ სტარმოსი - "ოთახი 304"

საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად ჟიურიმ 10 ფილმს შორის პოლონელი რეჟისორის, მაჩიკ დრიგასის "წერილები ცენზურის ქვეშ" დაასახელა.

ჟიურის სპეციალური პრიზი ამ ნომინაციაში ფილმა "გასასვლელი საჩუქრის მაღაზიიდან" მიიღო.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად სამუელ აბრამსის : "კავშირი" დასახელდა.

ჟიურის სპეციალური პრიზი კი დავით კოპალეიშვილის ანიმაციას - "ნათურა" გადაეცა. ეს ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერითაა გადაღებული, ეროვნულმა სუბსიდიამ შეადგინა 16 000 ლარი.

ქართული კინო საზღვრებს გარეთ

„მარილივით თეთრი“ კარლოვი ვარის კინოფესტივალზე

ქეთი მაჭავარიანის მხატვრულმა დებიუტმა „მარილივით თეთრი“ მონაწილეობა მიიღო კარლოვი ვარის 46-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში: „ ასტ ოფ ჭესტ.“

კარლოვი ვარის ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პრესტიჟულია, რომელიც მიიჩნევა ე.წ. „ა“ კლასის კინომოვლენად. ქართული ფილმი წელს სხვა საკმაოდ მაღალი დონის და მაღალბიუჯეტიან ფილმებს შორის მოხვდა მნიშვნელოვან საკონკურსო სექციაში. ქართული ფილმის ჩვენებას ფესტივალზე საზოგადოების და კრიტიკოსების მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა.

საქართველოდან ფილმის საკონკურსო ჩვენებას დაესწრნენ ფილმის რეჟისორი - ქეთი მაჭავარიანი, პროდიუსერი - გია ბაზღაძე და სტუმრის სტატუსით ასევე ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი.

ქეთი მაჭავარიანის პროექტი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებულია. ფილმისთვის გაცემულმა სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 145000 ლარი.

80 წუთიანი სოციალური დრამის მთავარი სათქმელია ყოველდღიური რუტინის ფონზე უჩვენოს ადამიანებს, რომ მთავარი ცხოვრებაში არ არის ყოფა და უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: განწყობა, მაღალი მატერიები, სულიერება, ოცნებები. მეტაფორულად კი ეს არის მარილივით თეთრი სანაპირო.

ფილმის მთავარი გმირია ჭიათურელი ოფიციანტი ნანა, რომელიც ზღვის სანაპიროზე მუშაობს და ჭიათურაში კაფის გასახსნელად ფულს აგროვებს. მთავარი პერსონაჟები არიან ასევე უსახლ-კარო გოგონა სოფო და პოლიციელი ნიკო, რომლებიც ნანას გზაზე იკვეთებიან. ნაჩვენებია სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანი - სამივე ცდილობს შეცვალოს თავისი ცხოვრება.

ფილმში მონაწილეობენ: ნინო ქორიძე, ფეა ცივაძე, გაგი სვანიძე, გიორგი ყიფშიძე, გიორგი გიორგანაშვილი და სხვები.

ოპერატორი - გიორგი შველიძე. კომპოზიტორი - გიო ცინცაძე.

პროდიუსერები: გია ბაზღაძე, ლევან კორინთელი და კომპანია ჯაგა გრიპი. თანაპროდიუსერი - კოტე რიჟინაშვილი.

„მარილივით თეთრი” – ქეთი მაჭავარიანი

ქართველი კინემატოგრაფისტები სარაევოს მე-17 კინოფესტივალზე (22-30 ივლისი, 2011 წელი)

ეროვნული კინოცენტრი წელს პირველად იყო ოფიციალურად წარმოდგენილი ბოსნია ჰერცეგოვინაში სარაევოს მე-17 კინოფესტივალზე. სპეციალურ სტუმრებს შორის იყვნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი, კინოექსპორტის და დისტრიბუციის მენეჯერი ქეთი დანელია, ასევე ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტები. კინოფესტივალი დაინტერესდა თანამედროვე ქართული კინოპროცესებით და განიხილა საქართველოს უფლებამოსილი ქვეყნების სიაში ჩასმა. წლევანდელ ვიზიტს გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ვიზიტის შემდეგ საქართველო გახდა უფლებამოსილი ქვეყანა და 2012 წლიდან ქართველ კინოპროფესიონალებს ფესტივალის სხვადასხვა სექციაში განაცხადების გაგზავნის უფლება ექნებათ.
ქართული დელეგაცია ბოსნია ჰერცეგოვინაში 25 ივლისს გაემგზავრა. ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებმა სარაევოს კინოფესტივალზე ინდუსტრიული შეხვედრები გამართეს და უცხოელ კოლეგებს გააცნეს მომავალი ქართული კინოპროექტები. სხვადასხვა სექციის სტუმრებს შორის იყვნენ:

CINELINK

- ქეთევან მაჭავარიანი
- კახაბერ მაჭარაშვილი
- ნანა ექვთიმიშვილი

CITY OF FILM

- ქეთი დანელია
- ლევან კოღუაშვილი

TALENT CAMPUS

- ნოშრე ჩხაიძე
- ნათია ნიკოლაშვილი
- ნათია გულიაშვილი
- სოფიო მიქიაშვილი
- ირაკლი მეტრეველი

სარაევოს კინოფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პლატფორმაა, რომელიც რეგიონის კინო პრომოუშენით არის დაკავებული და ასევე გამოირჩევა უცხოური ფილმების და საერთაშორისო სტუმრების სიმრავლით.

სხვა პროექტები

Film Print – ახალი ქართული ჟურნალი კინოზე

1 ივლისს, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში გაიმართა ახალი ჟურნალის „Film Print“-ის პირველი, ზაფხულის ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოვა და ყოველ ნომერზე იმუშავებს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. „Film Print“ -ს ეროვნული კინოცენტრი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცემს.

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ.

ჟურნალი გათვლილია სხვადასხვა გემოვნების მკითხველზე. „Film Print“ იქნება საკმაოდ მრავალფეროვანი და გააერთიანებს სხვადასხვა ავტორს.

პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქართველი კინემატოგრაფისტები და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

პირველი ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები - ლელა ოჩიაური და ირინა დემეტრაძე.

რობერტ ბოშის ფონდის პროექტი საქართველოში

ეროვნული კინოცენტრის და რობერტ ბოშის ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 10 ივლისს საქართველოში გაიმართა ინდუსტრიული შეხვედრები. ცნობილმა გერმანელმა ექსპერტებმა, ტრენერებმა და პროდიუსერებმა ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის ჩაატარეს ტრეინინგი, როგორ უნდა განავითარონ რეჟისორმა და პროდიუსერმა კინოპროექტი ევროპული სტანდარტებით.

(პროდიუსერები: სიმონ ამბერგერი, ურტე ამელი ფინკი, ფაბიან გასმია, ლენა ვურმა, იონას ვეიდემანი. ექსპერტები: ფრანკ ალბერსი, მიროსლავ მოგოროვიჩი, ნიკოლაი ნიკიტინი, კარინ შილე, ანდრეა ვინკი.)

პროგრამაში მონაწილეობდა 19 ქართველი (11 პროექტით) და 4 აზერბაიჯანელი კინემატოგრაფისტი. ბოშის ფონდის წარმომადგენლებმა შეარჩიეს 11 ქართული პროექტიდან საუკეთესოები და მათ ავტორებს მიეცემათ შანსი, ბოშის ფონდის დაფინანსებით შედგეს გერმანულ-ქართული კოპროდუქცია.

ვიზიტის და ტრეინინგის ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო გერმანულმა მხარემ.

რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენლები - ფრანკ ალბერსი და ნიკოლაი ნიკიტინი საქართველოში პირველად ეროვნული კინოცენტრის მოწვევით 2011 წლის მარტში იმყოფებოდნენ. სწორედ მაშინ გადაწყდა ერთობლივი კონკურსის გამოცხადება ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის, რომელთაც კინოცენტრში უნდა წარედგინათ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების პროექტები. ეროვნული კინოცენტრის და რობერტ ბოშის ფონდის ერთობლივი კონკურსის პირველი ეტაპი დასრულებულია. შესარჩევ ტურში მონაწილეობდა 34 პროექტი, შეირჩა სულ 11.

რობერტ ბოშის ფონდი

რობერტ ბოშის ფონდი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული ფონდი, რომელიც აძლევს საშუალებას ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს განახორციელონ კინოპროექტები გერმანიასა და მის საზღვრებს გარეთ. რობერტ ბოშის ფონდს დაწესებული აქვს სამი წამახალისებელი პრიზი კინოწარმოების სფეროში ახალგაზრდა გერმანელი და აღმოსავლეთ ევროპელი კინემატოგრაფისტებისთვის. პრიზი ენიჭება ანიმაციური, დოკუმენტური და მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროექტებს. კოპროდუქციის პრიზი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა გერმანელ კინემატოგრაფისტებს (პროდიუსერებს, რეჟისორებს, ოპერატორებს და სცენარისტებს) შესაძლებლობას, განახორციელონ ერთობლივი კინოპროექტები ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. კოპროდუქციის პრიზი დაწესებულია ვისბადენის კინოფესტივალთან თანამშრომლობით (goEast Festival / Wiesbaden).

MINI EAVE

საქართველოში

ივლისში თბილისში კინოპროექტებისა და ქსელური მუშაობის განვითარების პროფესიული ტრეინინგ-პროგრამა MINI EAVE- ს მეორე ეტაპი ჩატარდა.

ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის კინოპროექტებისა და სცენარების განვითარების პროგრამა განხორციელდა ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით ევროპულ კინოტრენინგ ორგანიზაცია - იავესთან(EAVE) ერთად. სემინარს დაესწრო 13 ქართველი მონაწილე 5 კინოპროექტით.

ტრეინინგ-პროგრამა ჩაატარეს საქართველოში სპეციალურად მოწვეულმა საერთაშორისო დონის ექსპერტებმა:

- კლერ დაუნსი (სცენარის კონსულტანტი, დიდი ბრიტანეთი)
- რიინა სილდოსი (პროდიუსერი, ესტონეთი)
- სიბილ კურზი (პროექტის წარდგენის - “Pitching“ ექსპერტი, გერმანია)
- ფრედერიკ კორვე (პროდიუსერი, გაყიდვების და დისტრიბუციის აგენტი, ომპანია U-MEDIA-ს დირექტორი, საფრანგეთი)
- კატრინ შლუტერ შირბეკი (მედია იურისტი, გერმანია)
- ალან ფონტენი (სწავლების ხელმძღვანელი, დიდი ბრიტანეთი)

ტრეინინგის თემატიკა იყო:

- სცენარის განვითარება
- ბაზრისა და აუდიტორიის გათვიცნობიერება
- კინოგაყიდვები და დისტრიბუცია
- კო-პროდუქციის იურიდიული ასპექტები
- საერთაშორისო მარკეტინგის ხერხები, საერთაშორისო ფესტივალებისა და კინობაზრობების ფუნქცია.

პროგრამის ფარგლებში საქართველოში პირველი სემინარი ჩატარდა 2011 წლის 25-27 მარტს.

ტრეინინგ პრორგამის დასკვნითი საღამო უცხოელი ექპერტებისა და ქართველი მონაწილეებისთვის 17 ივლისს რესტორან "ქალაქურში" გაიმართა.

www.gnfc.ge